



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	პატარძელის „ვეფხვები“ - თელავის „ჭადარი“		
გუნდი	თელავის „ჭადარი“	შეჯიბრი	„ბ“ ლიგა
მატჩის თარიღი	26.05.2022	მატჩის ადგილი	პატარძელი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	თენგიზ ცისკარიშვილი		
მომჩივანი	მატჩის მეთვალყურე მარიამ გოგუაძე	საჩივარი	<input checked="" type="checkbox"/> ეთანხმება უარყოფს
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - 5.8 არ დაარღვიოს სრკ-ს მოქმედი რეგულაციები, დებულებები, წესდება, სრკ-ს გამგეობის სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;	წითელი ბარათი	<input checked="" type="checkbox"/> საითინგი სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	31/05/2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	დისტანციური <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	სხვა დამსწრეები : <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	
დამრღვევის წარმომადგენელი	თელავის „ჭადარი“-ს მენეჯერი თენგიზ ცისკარიშვილი	აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მეთვალყურის მარიამ გოგუაძის საითინგი 26/05/2022		



დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მეთვალყურის მარიამ გოგუაძის საითინგი 26/05/2022
2. თელავის „ჭადარი“-ს მენეჯერი თენგიზ ცისკარიშვილის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი
3. მატჩის მეთვალყურის მარიამ გოგუაძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

თელავის „ჭადარი“-ს მენეჯერი თენგიზ ცისკარიშვილი დაეთანხმა მატჩის მეთვალყურის მარიამ გოგუაძის საითინგში (26/05/2022) აღნიშნულ დარღვევის ფაქტს. კერძოდ სრკ-ს საშეჯიბრო დებულების დანართი #9 (2021-2022 | საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკთა "ბ" ლიგა) პირველი პუნქტის (გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ 2005-2006 წლებში დაბადებული ჭაბუკებით დაკომპლექტებული გუნდები) დარღვევას.

ფაქტობრივი მოცემულობა

1. 26/05/2022 გაიმართა ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩი პატარძელის „ვეფხვები“-სა და თელავის „ჭადარს“ შორის.
2. 26/05/2022 მატჩის მეთვალყურემ, მარიამ გოგუაძემ, წერილობით(საითინგი 26/05/2022) მომართა სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს. საითინგში აღნიშნულია, რომ თამაშის დროს თელავის „ჭადარმა“, სრკ-ს საშეჯიბრო დებულების დანართი #9 დარღვევით და მისი(მეთვალყურის) შეცდომაში შეყვანის გზით, შეცვლაზე შემოიყვანა 2007 წელს დაბადებული მოთამაშე. მარიამ გოგუაძის განმარტებით მას მიაწოდეს სხვა მოთამაშის სალიცენზიო ბარათი მოედანზე სათამაშოდ კი სხვა, ვიზუალურად ასაკით უმცროსი მოთამაშე შევიდა. მ. გოგუაძემ შეაჩერებინა თამაში მსაჯს და თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშე გამოიყვანა სათამაშო მოედნიდან.



სადისციპლინო კომისიამ განიხილა სხდომაზე წარმოდგენილი დარღვევასთან დაკავშირებული მასალები, დაადგინა, რომ 26/05/2022 გამართულ „ბ“ ლიგის მატჩზე, პატარძელის „ვეფხვები“-სა და თელავის „ჭადარს“ შორის, ადილი ჰქონდა სრკ-ს საშეჯიბრო დებულების დანართი #9 (2021-2022 | საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკთა "ბ" ლიგა) პირველი პუნქტის (გათამაშებაში მონაწილეობენ მხოლოდ 2005-2006 წლებში დაბადებული ჭაბუკებით დაკომპლექტებული გუნდები) დარღვევას. კერძოდ, თელავის „ჭადარმა“ შეცვლაზე შემოიყვანა 2007 წელს დაბადებული მოთამაშე და მიიღო შემდეგი

გადაწყვეტილება

1. თელავის „ჭადარი“-ს მენეჯერს თენგიზ ცისკარიშვილს, 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, აეკრძალოს რაიმე სახის აქტივობა სათამაშო არეალში სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში ნებისმიერ დონეზე.
2. თელავის „ჭადარს“ ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდეს 5(ხუთი) საცხრილო ქულა და მომდევნო სათამაშო სეზონი, ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში, დაიწყოს მინუს 5(ხუთი) საცხრილო ქულიანი უარყოფითი ბალანსით.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	06/06/2022
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.